პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 125 (5155)

1974 წ. 26 ივნისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდი სხვაობით

ორშაბათს ნიცაში XXI საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარ ფინალურ ტურნირში მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. საბჭოთა დიდოსტატებს IX ტურიდან რუმინეთის გუნდთან ორი პარტია ჰქონდათ გადადებული. ვ. კორჩნოიმ და ბ. სპასკიმ სძლიეს მეტოქეებს. სსრ კავშირ — რუმინეთის მატჩის საბოლოო ანგარიშია 3,5:0,5.

X ტურში სსრ კავშირის გუნდმა შეხვედრა უნგრეთის ნაკრებთან ყაიმით (2:2) დაამთავრა.

გთავაზობთ სხვა მატჩების შედეგებს: ფინეთი — რუმინეთი 0:1 (3), ბულგარეთი — აშშ 1,5:1,5 (1), ესპანეთი — შვეცია 2:2, ფილიპინები — არგენტინა 2:2, იუგოსლავია — ჰოლანდია 2:1 (1), უელსი — გფრ 1:3, ჩეხოსლოვაკია — ინგლისი 3.0 (1).

10 ტურის შემდეგ ლიდერობს სსრ კავშირის გუნდი — 30 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან იუგოსლავია — 25,5 (1), ბულგარეთი — 24,5 (1), აშშ 24 (1), უნგრეთი — 22,5, ჰოლანდია — 22 (1), გფრ — 21,5.

მუშაობა დაიწყო ფიდე-ს გენერალურმა ასამბლეამ. ფიდე-მ თავის შემადგენლობაში წევრებად მიიღო ალჟირის, იორდანიის, ზაირის, ბაგამისა და ვირჯინიის კუნძულებისა და სურინამის ჭადრაკის ფედერაციები.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი

## პარტია გადაიდო

24 ივნისს კისლოვოდსკში განახლდა ბრძოლა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში ვ. კოზლოვსკაიასა (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინას (ლენინგრადი) შორის. გაიმართა I დამატებითი პარტია.

ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია დაუმთავრებელი დარჩა. იგი გადაიდო 42-ე სვლაზე დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 5:5.

## თბილისელთა მეორე გამარჯვება

კიევში უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ბოლო, მეოთხე წრის ნესამე დღეს თბილისის „ბურევესტნიკმა" ძალიან საჭირო გამარჯვება მოიპოვა სატურნირო ცხრილში უშუალო მეზობელთან — ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბთან — 20:19 (11:9).

ჩემპიონობის ძოპოვებამ, როგორც ჩანს, ცუდი სამსახური გაუწია მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს, რომელმაც წააგო კიევის არმიელებთან — 20:30 (13:14).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „კუნცევო" (მოსკოვი) — მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — 21:21 (9:9), ცსკა — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — 26:22 (12:11).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ივნისისთვის

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინს. | 21 | 0 | 3 | 684:569 | 42 |
| „კუნცევო" | 14 | 3 | 7 | 569:562 | 31 |
| ცსკა | 14 | 2 | 8 | 600:528 | 30 |
| მეტ. ინსტ. | 11 | 5 | 8 | 542:505 | 27 |
| ასკ | 10 | 6 | 8 | 541:525 | 26 |
| „ალუმინსტროი" | 7 | 2 | 15 | 514:575 | 16 |
| „ბურევესტნიკი" | 5 | 0 | 19 | 512:598 | 10 |
| ფიზ. ინსტიტუტის სპორტკლუბი | 4 | 2 | 18 | 500:600 | 10 |

ხელბურთი



## მაია ჩიბურდანიძე — საერთაშორისო ოსტატი

ნიცა, 25 ივნისი. ფიდე-ს კონგრესმა, რომელმაც ნიცაში დაიწყო მუშაობა, ჭადრაკში საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭა 13 წლის მაია ჩიბურდანიძეს (სსრ კავშირი). ფიდე-მ თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მიაკუთვნა ესოდენ მაღალი სპორტული თანრიგი ნორჩ მოჭადრაკეს.

დ. მძინარიშვილის ფოტო.

•

(მასალა ბრაშოვის ქალთა საერთაშორისო ტურნირის შესახებ, რომელშიც ნორჩმა მოჭადრაკემ შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი, იხ. მე-2 გვერდზე).

## დომბორჯგინიძის ორი წმინდა გამარჯვება

მადრიდი, 25 ივნისი. ამ ქალაქის სპორტის სასახლეში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ზოგიერთი მონაწილე უკმაყოფილო დარჩა კლასიკურ ჭიდაობაში გამართულ ტურნირში გამოსვლით. ახლა მათ გადაწყვიტეს კვლავ ეცადონ ძალა... თავისუფალ ჭიდაობაში. ერთ-ერთი მათგანია შვეიცარიელი კ. ბახმანი. თავიდან ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ სპორტსმენს ამპლუას გამოცვლამ ვერ უშველა, ვინაიდან წააგო. მაგრამ მან წააგო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის პრიზიორთან ი. ჩატარისთან (ქვემძიმე წონა, უნგრეთი), მერე კი წმინდად დაამარცხა თურქი ს. ადემირი და საპრიზო ადგილზე გასვლის შანსიც მიეცა.

ამასობაში ოქროს მედლებისთვის მებრძოლ 109 სპორტსმენს თითქმის მესამედი გამოაკლდა. სსრ კავშირის ნაკრები უდანაკარგოდ იბრძვის, თუმცა, დებიუტანტი ს. გარუმოვი, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი ი. იარიგინი უკვე პირველივე წრეში დამარცხდნენ.

მახაჩყალელმა მსუბუქი წონის მოჭიდავემ გარუმოვმა წააგო იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონთან, ბულგარელ დ. ჟეკოვთან. ქვემძიმე წონის ათლეტი, კრასნოიარსკელი ი. იარიგინი დამარცხდა გდრ-ის წარმომადგენელ ჰ. ბიუტნერთან. მაგრამ შემდეგ მახაჩყალელმა სპორტსმენმა ქულებით აჯობა ფრანგ ტ. ტოულოტს, ხოლო იარიგინმა წმინდად მოუგო ჩეხოსლოვაკიელ რ. დროდს.

ასევე წმინდად მოიგეს: თბილისელმა რ. დომბორჯგინიძემ (ქვემსუბუქი) — თურქ ი. გუვენსთან და ესპანელ ა. როდრიგესთან, მახაჩყალელმა რ. აშურალიევმა (მეორე ქვესაშუალო) — თურქ ადემირთან და შვეიცარიელ რ. ბლაზერთან, ლენინგრადელმა ვ. ნოვოჟილოვმა (პირველი საშუალო) — გფრ-ის წარმომადგენელ ა. სენთან და ფინელ კ. მენთან, ორჯონიკიძელმა მძიმე წონის ათლეტმა ს. ანდიევმა — ინგლისელ რ. ბრედლისთან და ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორთან, თურქ ა. იილდრინთან.

ფინალური შეხვედრები მოეწყობა 26 ივნისს.

## მძლეოსნურ მერიდიანებზე

ლოს-ანჯელესი, 23 ივნისი. უნივერსიტეტის რეკორტანისბილიკეპიან სტადიონზე გაიმართა აშშ-ს მოყვარულ სპორტსმენთა კავშირის ღია ჩემპიონატი, სადაც ცნობილმა სპრინტერმა ს. უილიამსმა 100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი (9,9) გაიმეორა. ახლა იგი ამ რეკორდის მექვსე „მონაწილეა". II და III ადგილებზე გავიდნენ დ. ქვორი (იამაიკა) და რ. ჯონსი. შეჯიბრებაში, რომლის მიზანი იყო სსრ კავშირის მძლეოსნებთან მორიგი მატჩისთვის კანდიდატების შერჩევა, კარგი შედეგები აჩვენეს, აგრეთვე, დ. ბოლდინგმა — 400 მეტრზე თარჯრბენში — 49,2, ჩ. ფოსტერმა — 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,4, ჯ. მურმა და ა. რობინსონმა — სიგრძეზე ხტომაში — 807 და 803 სმ.

ბერლინი, 22 ივნისი. გდრ-ის მძლეოსანმა ქალებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში აქ მატჩი გამართეს ბულგარელებთან და დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს — 93:41. მსოფლიო რეკორდსმენმა რ. შტეჰერმა მოიგო 100 (11,1) და 200 მეტრზე (22,4) რბენა. მასპინძელთა გუნდმა 4×100 მეტრზე ესტაფეტაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა — 43,1 მსოფლიო რეკორდსმენმა ა. ერჰარდტმა 100 მეტრზე თარჯრბენი მოიგო — 12,8. ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. ფუქსმა შუბი 65,08 მეტრზე ტყორცნა. სტუმრებიდან მხოლოდ ბადროს მტყორცნელმა რ. ვერგოვამ იმარჯვა — 65,90, ეს ბულგარეთის რეკორდია.



## დაუღალავი ირენა

იგი ამ 28 წლის წინათ ლენინგრადში დაიბადა. ირენა შევინსკა (კირშენშტეინი) მსოფლიო სპორტში ნამდვილი მოვლენაა, ვარჯიში ირენამ 1960 წელს დაიწყო პოლონეთში, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ. მისი საყვარელი სახეობები იყო 100 და 200 მეტრზე რბენა, აგრეთვე, სიგრძეზე ხტომა.

ირენამ ვარშავაში გამართულ ევროპის იუნიორთა პირველ თამაშებში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ვარჯიშის მეექვსე წელიწადს მან 100 მეტრი 11,1 წამში გაირბინა. 200 მეტრზე რბენაშიც სწორედ ამ წელს დაამყარა პირადი რეკორდი (22,7), ერთი წლით ადრე კი 660 სმ სიგრძეზე გადახტა. მაგრამ შევინსკა ამით როდი დაკმაყოფილდა — ევროპისა და ოლიმპიადის მრავალგზის ჩემპიონმა მეხიკოს ოლიმპიადის წელს მიაღწია სიგრძეზე ხტომაში პირად საუკეთესო მაჩვენებელს (667 სმ), რომელიც საერთაშორისო კლასის შედეგია. 1970 წელს შევინსკას შვილი შეეძინა, ამიტომაც იმ სეზონში სარბიელზე აღარ უნახავთ, მაგრამ შემდეგ მან ვარჯიში განაახლა და აი, უკვე წლეულს პირდაპირ სასწაულს ახდენს: 100 მეტრი — 11,0, 200 მეტრი — 22,0 (ეს მსოფლიო რეკორდია).

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ირენამ შარშანდელი წლის დამლევს თავისთვის უჩვეულო დისტანციაზე — 400 მეტრზე რბენაში პირველად სცადა ძალა და პოლონეთის რეკორდი დაამყარა — 52,0. ამ რამდენიმე დღის წინათ კი მან ეს დისტანცია 49,9 წამში გაირბინა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მანამდე რეკორდსმენები იყვნენ იამაიკელი მ. ნეფვილი, რომელმაც 1970 წელს 400 მეტრი 51 წამში გაირბინა, და მ. ცერტი (გდრ), რომელმაც 2 წლის მერე იამაიკელის შედეგი გაიმეორა.

• • •

სურათზე: ი. კირშენშტეინი-შევინსკა ვარჯიშისას.

## ოფიციალური ცნობები

### 25 ივლისს, მოსკოვში...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნეს 1974 წლის 25 ივლისს ქალაქ მოსკოვში.

### თათბირი უმაღლესი სკოლის პრობლემებზე

ახლა რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის, ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრშია საკითხი, რომ 1974 წელს მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე ჩატარდეს მიღება უმაღლეს სასწავლებლებში. რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში, უმაღლეს სასწავლებლებში მოდის წერილები, რომლებიც შეიცავენ სურვილებსა და წინადადებებს, თუ როგორ მოეწყოს უკეთ მისაღები გამოცდები.

რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის პრობლემებზე, მიმდინარე წელს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების საუკეთესო ორგანიზაციის გზებზე იყო სჯა-ბაასი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე. თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.

მოხსენება განსახილველ საკითხზე გააკეთა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ ჯიბლაძემ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ო. ღუდუშაური, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ნ. ვალიშვილი, რესპუბლიკის განათლების მინისტრი თ. ლამქარაშვილი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ვ. მეტრეველი, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი დოცენტი ნ. ვასაძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის მდივანი დ. კუხალაშვილი, თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ე. გუგუშვილი, სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ზ. ანჩაბაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ფაჩუაშვილი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი.

## „ბურევესტნიკი" მაგალითს უჩვენებს...

... საზეიმო ატმოსფერო სუფევდა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოში. აქ თავი მოეყარათ ამ სპორტსაზოგადოების მწვრთნელებს, თანამშრომლებს.

... კარგად დაამთავრეს წარშანდელი წელი „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს სპორტსმენებმა და მათმა მწვრთნელებმა, საზოგადოების ხელმძღვანელობამ. შარშან ამ სპორტსაზოგადოებაში მომზადდა 4 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 41 სპორტის ოსტატი, 526 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. გადაჭარბებით შესრულდა თითქმის ყველა სხვა მაჩვენებელიც.

და აი, ამ თავყრილობაზე „ბურევესტნიკი" დაჯილდოვდა პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელითა და გარდამავალი წითელი დროშით. მასვე გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელი.

## ტირაჟების შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო—2"-ის ტირაჟებისა, რომლებიც 20 ივნისს მოეწყო მოსკოვში.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი გამოიცნო ერთმა კაცმა, მოგება — 5000 მან. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება ასევე 5000 მანეთია (59 ბილეთი), ოთხისთვის — 121 (5039), სამისთვის — 4 (128590).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი გამოიცნო ერთმა კაცმა, რომელსაც 5000 მანეთი ხვდა. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1556 მანეთია (53 ბილეთი), ოთხისთვის — 32 (3076), სამისთვის — 3 (49061).

მოგებული თანხა გაიცემა 1-დან 30 ივლისის ჩათვლით. შემდეგი ტირაჟები მოეწყობა 30 ივნისს.

• • •

მორიგი ტირაჟები იღბლიანი აღმოჩნდა ჩვენი რესპუბლიკისთვის. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბრიგადირი ფ. ვოლოშინი სისტემატურად მონაწილეობს სპორტულ ლატარიაში. მას ცოლი და ვაჟიც უბამენ მხარს... ისინი ყოველ ტირაჟში „სპორტლოტო-2"-ის 5-10 ბილეთს იძენენ. მე-17 ტირაჟში ვოლოშინების ოჯახმა სულ „სპორტლოტოს" ექვსი ბილეთი შეავსო და აქედან ერთ ბილეთზე ექვსი ნომერი დაემთხვა მოსაგებ ციფრებს. ვოლოშინებმა 5000 მანეთი მოიგეს.

წყალტუბოს მკვიდრმა ნ. გოგოლევმა მე-16 ტირაჟში ხუთ-ხუთი ნომერი გამოიცნო „სპორტლოტო-2"-ის ორ ბილეთზე და 7581 მანეთი მოიგო. წინა ტირაჟში ბედმა გაუღიმა ბოლნისის მცხოვრებ ზ. ღიბრაძეს და თბილისელ ინჟინერს კ. ჩოგოვაძეს. თითოეულმა ხუთი ნომრის გამოცნობისთვის 2112 მანეთი მიიღო.

**ნ. ლონდაძე,**
**„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.**

# პირველი ნაბიჯი

„თქვენ, ჩვენო მეგობარო ვაჟებო და ქალიშვილებო, კარგად უნდა იცოდეთ, რომ დღევანდელი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ეს არის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო დაწესებულება, სადაც ახალგაზრდობას ყველა პირობა აქვს შექმნილი მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებისთვის. მოსწავლეთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სასწავლო ლაბორატორიები, სახელოსნოები, კლუბები, სპორტული დარბაზები და ბიბლიოთეკები. სასწავლებელში ახალგაზრდები არა მარტო პროფესიას ითვისებენ, არამედ იღებენ იდეურ-პოლიტიკურ წრთობას, ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას, ემზადებიან, რომ გახდნენ მუშათა კლასის საუკეთესო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრენი", —

ნათქვამია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეებისადმი მიმართვაში. ეს სიტყვები ამ სასწავლებლების წარმომადგენლებისა და შრომის ვეტერანების მონაწილეობით ამას წინათ გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე ითქვა.

ქარელის სოფლის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი სულ ახლახან შეემატა ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასის რეზერვის სამჭედლოთა რიგებს. ათვალიერებ ამ შესანიშნავ კომპლექსს და უნებლიეთ გაგონდება მიმართვის სტრიქონები. კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნოები აქ მართლაც თანამედროვე მოთხოვნების დონეზეა აღჭურვილი. სასწავლო და საცხოვრებელ კორპუსებს შესანიშნავად ერწყმის ღია სპორტული მოედნები, მძლეოსნური ბილიკები და სექტორები, სპორტული დარბაზი, 25-მეტრიანი საცურაო აუზი...

— ახლო მომავალში თქვენი სასწავლებლის სპორტული კომპლექსი ალბათ ერთ-ერთ საჩვენებელ ობიექტად გადაიქცევა რესპუბლიკაში, — ვუთხარით სკოლის დირექტორს ა. გასიტაშვილს.

— ჩვენი მიზანიც ესაა. სპორტული ბაზების კეთილმოწყობას და მოვლას განსაკუთრებული მზრუნველობით ვეკიდებით. გვინდა, რომ ჩვენთან ახალგაზრდობას სპორტული ბაზებიც იზიდავდეს, — გვეპასუხა დირექტორმა.

ახალგაზრდობაში ა. გასიტაშვილმა თავად გამოიარა სპორტული ცხოვრების რომანტიკა. ამიტომაა, რომ იგი მუდამ მხარში უდგას სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელს რ. გოგოლაძეს. დირექტორი და მასწავლებელი შეთანხმებული მუშაობით აქედანვე უყრიან საძირკველს კოლექტივის მომავალ წარმატებებს. მათი მონდომება სხვა პედაგოგებსაც გადაედოთ. მაგალითად, ფეხბურთელთა საზოგადოებრივ საწყისებზე გაძღოლა ისტორიის მასწავლებელმა გ. ოქროშიაშვილმა ითავა, დირექტორის მოადგილე ა. ყიფიანი ხელბურთელთა გუნდს ჩაუდგა სათავეში, საწარმოო სწავლების ოსტატები ა. ახმედოვი და ბ. მარღიშვილი კალათბურთელებს, მაგიდის ჩოგბურთელებს, მოჭადრაკეებსა და მოჭიდავეებს ამეცადინებენ.

სასწავლებელში მოუთმენლად მოელოდნენ დამფუძნებელ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებას. ფეხბურთელებმა გ. სართანიამ და დ. მერკილაშვილმა (ისინი რაიონის ნაკრებ გუნდშიც თამაშობენ), კალათბურთელმა თ. ბალალაშვილმა, მძლეოსანმა თ. ნებიერიძემ და მათმა მეგობრებმა წარმატებებით პირველებმა ჩაუყარეს საძირკველი სასწავლებლის სპორტულ ტრადიციებს.

ქარელის პროფტექნიკური სასწავლებელი თანდათანობით იხვეჭს ავტორიტეტს. აქ ახლა ხშირად ტარდება რაიონული პირველობები. „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურმა საბჭომ ახლახან საჩუქრად ლიბების კომპლექტი გადასცა სასწავლებელს. ასეთი ყურადღება მეტს ავალებს სასწავლებლის ფიზკულტურულ კოლექტივს. ეს ყველას კარგად აქვს შეგნებული. და ეჭვი არ არის, რომ ამ კოლექტივის სპორტსმენებს სულ მალე დიდ სარბიელზეც ვიხილავთ.

**თ. გაჩეჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქარელი.

# მოლოდინს გადააჭარბა

ასეთი რამ იშვიათად ხდება: თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე, 13 წლის მაია ჩიბურდანიძეს დიდი პატივი დასდეს — დაავალეს ბრაშოვში, რუმინეთის ჭადრაკის ფედერაციის ქალთა ტრადიციულ VIII საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა სპორტის ღირსება დაეცვა.

ტურნირში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი — ექვსმა საერთაშორისო ოსტატმა, ამდენივე ეროვნულმა ოსტატმა და ერთმა ოსტატობის კანდიდატმა.

რუმინეთის ამ ტრადიციულ ტურნირებში საბჭოთა კავშირიდან უთამაშიათ მ. შულს (1972 წ) და ი. ლევიტინას (1973 წ.). შულმა II ადგილი დაიკავა (პირველი იყო უნგრელი მ. ივანკა), ლევიტინა I ადგილზე გავიდა.

ზოგიერთი ფიქრობდა, რომ დიდ საერთაშორისო ტურნირში პატარა მაიას გაგზავნა გამართლებული არ იყო, მაგრამ ეჭვები უსაფუძვლო გამოდგა. თბილისელმა გოგონამ მოლოდინს გადააჭარბა. მან ასახელა საბჭოთა საჭადრაკო სკოლა, როცა დაუმარცხებლად დაიკავა I ადგილი.

ტურნირის შედეგებს აქ მოყვანილ ცხრილში გაეცნობით. გიამბობთ, როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა.

სტარტზე მაიამ მოუგო ოსტატ მურეშანს, საერთაშორისო ოსტატ ვრეკენს, ოსტატობის კანდიდატ კირმაჩუს და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

ჰოლანდიელ მოჭადრაკეს მაიამ საუცხოო სტილით მოუგო.

**ჩიბურდანიძე — ვრეკენი**
**ალიოხინის დაცვა**

1. e4 მf6 2. e5 მd5 3. d4 d6 4. მf3 კg4 5. კe2 c6 6. 0—0 კ:f3 7. კ:f3 de 8. de e6 9. ლe2 მd7 10. c4 მe7 11. კf4 მg6 12. კg3 კe7 13. h3?

უფრო ზუსტი იყო 13. მc3 და შემდეგ 13. ... ლc7 14. ეfe1.

13. ...ლc7 14. ეe1 კb4 15. მc3 ეd8.

ყურადღებას იმსახურებდა 15. ... კ:c3 16. bc 0—0 17. h4 ორმხრივად საინტერესო თამაშით.

16. ეac1 0—0 17. a3 კe7 18. კe4.

კუ გადადის b1 — h7 დიაგონალზე და იერიშში მიიღებს მონაწილეობას.

18. ... მc5 19. კc2 a5 20. h4 ეfe8 21. h5 მf8 22. კf4 f5 23. g4 g6 24. ლe3 მფh8 25. hg მ:g6 26. კg3 ეf8 27. მe2 მd7

27. ... fg მოჰყვებოდა 28. კ:g6 hg 29. ლ:h6+! ახლა თეთრები ფორსირებულ იერიშს იწყებენ, რასაც შესანიშნავად წარმართავს ნორჩი ოსტატი.

28. gf ef 29. e6! მde5 30. მf4 ლc8 31. მh5 მg4 32. ლc3+ მf6 33. კ:f5.

შავი მეფე განსაცდელშია. მას აღარაფერი შველის.

33. ... მფg8 34. კ:g6! hg 35. მf4 მფh7 (აგებდა აგრეთვე 35. ... g5 36. მg6! გამო) 36. ლc2 ეg8 37. მფg2 მg4 38. ეh1+ მh6 39. ე:h6+ მფ:h6 40. ეh1+ მფg5 41. ლc4.

ვრეკენი დანებდა, ვინაიდან 41. ... მფf6-ს შამათი მოსდევს — 42. კh4+ g5 43. მh5×.

თბილისელმა მოსწავლემ ლიდერობა აღარავის დაუთმო.

IV ტურში მისი მეტოქე რუმინეთის მრავალგზის ჩემპიონი, ქვეყნის ოლიმპიური გუნდის წევრი, საერთაშორისო ოსტატი ტეოდორესკუ გახლდათ. მაია ალმაცლობით იბრძოდა და პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო. მეორე დღეს დილით თამაში განახლდა, მაგრამ მე-60 სვლაზე კვლავ გადაიდო. კიდევ ერთხელ მიუსხდნენ მეტოქეები დაფას ბრძოლის დასამთავრებლად. ბოლოს ჩიბურდანიძემ ლაზიერის შეწირვით გაანადგურა შეუპოვარი მეტოქის პოზიცია და გაიმარჯვა.

ამ პარტიის დამთავრების დღესვე მაია ოსტატ მიხელს შეხვდა. ორი უზუსტო სვლის მერე ინიციატივას გერმანელი მოჭადრაკე დაეუფლა. მაია თავგამოდებით იგერიებდა მუქარას და პარტია მძიმე მდგომარეობაში გადადო. ხანგრძლივმა და გულდასმითმა ანალიზმა ვერაფრით დაგვამშვიდა. მაია მაინც განაგრძობდა ბრძოლას. პარტია მეორედ გადაიდო. თამაში რომ განახლდა, მიხელს ჰქონდა ეტლი, კუ და გამსვლელი პაიკი ძალას ეტლის წინააღმდეგ. მაგრამ გერმანელმა ოსტატმა უზუსტოდ ითამაშა და მაიამ პატის იდეის გამოყენებით გამსვლელი პაიკი მოიგო. ნორჩმა ბრძოლისუნარიანმა მიხელმა ეტლების გაცვლა დაუშვა და 95-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

VI ტურში უნგრელი საერთაშორისო ოსტატის ხონფის დამარცხების შემდეგ მაიას 5,5 ქულა დაუგროვდა და საბოლოო წარმატების იმედიც მიეცა.

სხვა შეხვედრებიდან მინდა გავიხსენო პარტია ვასნეცკისთან. მაიამ მეტოქის გამსვლელ პაიკს დროულად ჩაუხერგა გზა. პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში. ვასნეცკის ყაიმი შევთავაზეთ. მან წინადადება არ მიიღო. მაიას ვუთხარი, ალბათ ვასნეცკის პოზიცია თავისთვის სასარგებლოდ ჰგონია და ამიტომ დაკვირვებით ითამაშე-მეთქი. თამაშის განახლებისას მაიამ ხარისხის შეწირვით ხელთ იგდო ინიციატივა და გაიმარჯვა. ამ დამარცხებამ ისეთი გავლენა მოახდინა ვასნეცკიზე, რომ მან სამი მომდევნო შეხვედრაც წააგო.

გთავაზობთ მაიას ორ საინტერესო პარტიას:

**ჩიბურდანიძე — ხონფი**
**ესპანური პარტია**

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 d6 4. d4 კd7 5. 0—0 მge7 6. de de 7. კc4 h6 8. h3 მg6 9. მc3 კe7 10. კe3 კg5 11. ლe2 კ:e3 12. ლ:e3 0—0 13. a3 a6 14. ეad1 ლc8 15. მd5 მd8? 16. მ:e5 მ:e5 17. მe7+ მფh8 18. მ:c8 მ:c4 19. ლc3 კ:c8 20. ლ:c4 მc6 21. ეd2 კe6 22. ლc3 ეac8 23. ეfd1 f6 24. ლc5 ეfe8 25. c4 მფg8 26. b3 კf7 27. f3 კe6 28. ლe3 ეe7 29. ლc3 ეce8 30. b4 მe5 31. c5 b5 32. cb cb 33. ეd6 მc4 34. ე:e6 და მალე შავები დანებდნენ.

**ჩიბურდანიძე — პორუბსკი**
**ძველინდური დასაწყისი**

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d3 მc6 4. მbd2 g6 5. g3 კg7 6. კg2 მge7 7. 0—0 d5 8. ეe1 0—0 9. e5 ლc7 10. ლe2 მd4 11. მ:d4 cd 12. მf3 მc6 13. კf4 კd7 14. h4 h5 15. a3 ეac8 16. მg5 მe7 17. ეac1 ლb6 18. g4 hg 19. ლ:g4 მf5 20. h5 მh6 21. ლh3 ლ:b2 22. კ:d5 ed 23. ლ:d7 ე:c2 24. ე:c2 ლ:c2 25. hg ლ:d3 26. gf+ მ:f7 27. ლ:d5 ლf5 28. მ:f7 ე:f7 29. კg3 ლd7 30. ლc4 b5 31. ლb3 ლc6 32. e6 ეe7 33. კh4 ეe8 34. e7+ ლc4 35. ლh3 d3 36. ლd7 მფf7 37. ეe3 ლ:h4? 38. ლe6×.

ნორჩი მოჭადრაკის შემოქმედებით სავსებით კმაყოფილი ვარ. ამკარად იგრძნობა, რომ მაია ტურნირიდან ტურნირამდე იზრდება და ოსტატდება.

ბრაშოვის ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. მონაწილეებს თამაშისა და დასვენებისთვის კარგი პირობები ჰქონდათ. რა თქმა უნდა, ნიჭიერ ქართველ მოჭადრაკეს ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი.

**მ. შიშოვი,**
**სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**

**ბრაშოვის ქალთა საერთაშორისო ტურნირი (1974 წ. 11—25 მაისი)**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | ქ. | ადგ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მ. ჩიბურდანიძე (სსრკ) | ● | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 10 | 1 |
| 2. ა. ვრეკენი (ჰოლანდია) | 0 | ● | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 7 | 2—4 |
| 3. ა. მიხელი (გდრ) | ½ | 0 | ● | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 7 | 2—4 |
| 4. ბ. ბორისოვა (ბულგარეთი) | 0 | ½ | 1 | ● | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 7 | 2—4 |
| 5. გ. ბაუმშტარკი (რუმინეთი) | ½ | ½ | ½ | ½ | ● | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 1 | 6½ | 5—7 |
| 6. მ. ტეოდორესკუ —„— | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | ● | ½ | 1 | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | 6½ | 5—7 |
| 7. ს. მაკაი —„— | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | ● | 0 | 1 | 0 | ½ | 1 | 1 | 6½ | 5—7 |
| 8. ა. ვან დერ გიხენი (ჰოლანდია) | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | 0 | 1 | ● | ½ | 1 | 0 | ½ | 1 | 6 | 8—9 |
| 9. მ. მურეშანი (რუმინეთი) | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | ● | 1 | 1 | 1 | 1 | 6 | 8—9 |
| 10. მ. პორუბსკი (უნგრეთი) | 0 | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | 1 | 0 | 0 | ● | 0 | ½ | ½ | 5 | 10 |
| 11. უ. ვასნეცკი (გფრ) | 0 | 0 | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | 0 | 1 | ● | 0 | 0 | 4½ | 11 |
| 12. ლ. ხონფი (უნგრეთი) | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | 1 | ● | ½ | 4 | 12 |
| 13. ლ. კირმაჩუ (რუმინეთი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | ½ | ● | 2 | 13 |

### ეტიუდი

ვ. კალანდაძე (თბილისი).
ეძღვნება მ. ჩიბურდანიძეს.



თეთრები იგებენ.

# არც ქალები ჩამორჩნენ

პარიზი, 25 ივნისი. კონტინენტის ჩემპიონატში სსრ კავშირის მრგვალ სტენდზე მსროლელ ვაჟთა კოლექტივს არც ქალები ჩამორჩნენ. ჩამორჩნენ კი არა, მათ უკვე ორმაგი გამარჯვება იზეიმეს. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლ. კორჩინსკაია (დონის როსტოვი), პ. კონეევა (მოსკოვი) და ვ. მარცინკიავიჩუტე (ვილნიუსი), 300-დან 282 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. II ადგილზე არიან ბელგიელები, III — ესპანელები.

პირად პირველობაში კონტინენტის ჩემპიონი გახდა კორჩინსკაია. მან 150-დან 143 ქულა მოაგროვა. ვერცხლის მედალი ერგო ჟ. ფონტენს (ბელგია) — 141, ბრინჯაოსი — კონეევას — 140. მარცინკიავიჩუტემ V ადგილი დაიკავა — 138.

გრძელდება ვაჟთა პირადი პირველობა. ოთხივე საბჭოთა სპორტსმენი — ტ. ჟღენტი (თბილისი), ი. ცურანოვი (სვერდლოვსკი), ნ. ბენეში (ომსკი) და ვ. ანდრეევი (ფრუნზე) ლიდერობენ და მედლების მოპოვების ყველაზე მეტ შანსს ინარჩუნებენ.

ბრძოლა დაამთავრეს მრგვალ სტენდზე მსროლელ იუნიორთა გუნდებმაც. გდრ-ისა და სსრ კავშირის (გუნდში თბილისელი თ. იმნაიშვილიც გამოდის) სპორტსმენებმა საბოლოოდ თანაბარი ქულები მოაგროვეს — 300-დან 287, მაგრამ, ვინაიდან ბოლო სერიების მიხედვით გერმანელებს უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდათ, პირველობა მათ მიაკუთვნეს.

## რაიონებში სპორტულია

**ჩოხატაური**

ჩოხატაურში ჩატარდა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. I ადგილი დაიკავა გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდმა — 652 ქულა (1000-დან).

**დ. გურგენიძე.**

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

24 ივნისს მოსკოვის „დინამოს“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მატჩით დაიწყო სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XI ტური.

ანგარიში მე-18 წუთზე გახსნა დნეპროპეტროვსკელმა ევსეენკომ. 20 წუთის შემდეგ საპასუხო გოლი გაიტანა დინამოელმა პავლენკომ. მეორე ტაიმში სტუმრების კარი კიდევ ორჯერ აიღო და გაიმარჯვა „დინამომ“ — 3:1.

### უმაღლესი ლიგა

### II ლიგა III ზონა

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები:

### უფერული ფრე

ფოთის „კოლხიდისა“ და ლანჩხუთის „გურიის“ შეხვედრა მუდამ მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან ორივე გუნდი, როგორი სატურნირო მდგომარეობაც უნდა ჰქონდეს, გამარჯვებისთვის მუდამ თავგამოდებით იბრძვის. მაგრამ ამჯერად ვარაუდი არ გამართლდა: წვიმამ ფეხბურთელებს გუნება გაუფუჭა, თავდამსხმელთა გადაცემები დიდხანს უზუსტო იყო. ტაიმი ისე მიიწურა, რომ რეალური საფრთხე არც ერთ კართან არ შექმნილა.

მატჩის მეორე ნახევარი უფრო ცოცხლად, ტემპიანად ჩატარდა. დასაწყისში ფოთელებს შეეძლოთ ანგარიში გაეხსნათ, მაგრამ მადანმა უჯეროდ დაარტყა, მას არც ლანჩხუთის გუნდის წევრი ტროიანი ჩამორჩა, თუმცა ამჯერად „დამნაშავე“ ფოთელი ჩარგვა იყო, რომელმაც მას ბურთი სულ ბოლო მომენტში აართვა.

სტუმრების იერიშები თანდათან მიზანდასახული გახდა. ძიძიგურმა და თავაძემ კარგი კომბინაცია გაითამაშეს და გოლი თითქმის გარდუვალი იყო, მაგრამ საქმეში ჩაერია „კოლხიდის“ მეკარე ბარინი და კომბინაცია დაუსრულებელი დარჩა.

ორმხრივი იერიშები ხანმოკლე გამოდგა, სველმა მინდორმა, მძიმე ბურთმა ფეხბურთელები დაღალა, მატჩის მიწურულში ტემპი ისევ დაეცა და შეხვედრა საბოლოოდ ფრედ დამთავრდა.

ბ. ბასილაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ფოთი.

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „დინამო“ (კიროვაბადი) — „დილა“ (გორი) 2:3, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0, „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 4:1, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 3:0, „დინამო“ (ვოლოგდა) — „ურალანი“ (ელისტა) 1:1. ვლადიმირის „ტორპედოსა“ და სმოლენსკის „ისკრას“ მატჩი გადატანილია 28 ივნისისთვის.

## გამომთვლელი მანქანის დახმარებით

ტოტალიზატორი საფეხბურთო ბიზნესის ერთ-ერთი აღიარებული სახეობაა დასავლეთში. უწინ ტოტალიზატორში თამაშის პრინციპი უმთავრესად ფეხბურთის მოყვარულთა სუბიექტურ შეხედულებებზე იყო დაფუძნებული. ახლა მოთამაშეთა დასახმარებლად მოვიდა ტექნიკა, კერძოდ კი ელექტრულ-გამომთვლელი მანქანა.

მეთოდი ამ დახმარებისა მარტივია. რომელიმე ფირმა, რომელსაც კავშირი აქვს ელექტრულ-გამომთვლელი მანქანების წარმოებასთან, გარკვეული გასამრჯელოს საფასურად იძლევა სხვადასხვაგვარ სტატისტიკურ ინფორმაციას.

მაგალითად, დასავლეთგერმანულმა ფირმამ ფუნკ-უხრ-ამ შეაჯამა ფინალის მონაწილე თექვსმეტივე გუნდის მაჩვენებლები 1970 წლიდან. როგორც გამოირკვა, მსოფლიოს X ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი გფრ ყოფილა. შემდეგ დაგროვილი ქულების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა: 2. ჰოლანდია, 3. ბრაზილია, 4. გდრ, 5. შვეცია, 6. იუგოსლავია, 7. პოლონეთი, 8. იტალია, 9. არგენტინა, 10. შოტლანდია, 11. ბულგარეთი, 12. ჰაიტი, 13. ავსტრალია, 14. ზაირი, 15. ჩილი, 16. ურუგვაი.

როგორც ხედავთ, მანქანის „ტვინმა“ ჯგუფური ტურნირების შედეგები თითქმის შეუცდომლად გამოიცნო (უზუსტობა დაშვებული მხოლოდ იტალიისა და არგენტინის გუნდების მიმართ), მაგრამ ტოტალიზატორით გაცემული თანხა ჯერჯერობით მაინც ერთობ უმნიშვნელოა.

• •



სტენლი როუზი აღარ არის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი. იგი გადააყენეს ამ პოსტიდან ცოდვებისთვის, რაც ხელს უწყობდა სპორტში რეაქციული შეხედულებების გაბატონებას (გაიხსენეთ, თუნდაც, მისი აშკარად დაუფარავი სიმპათიები ჩილის ფაშისტური ხუნტისადმი). ახალი პრეზიდენტი, ბრაზილიელი ჟოაო ავილანჟი, როგორც ამბობენ, უფრო პროგრესული იდეების მიმდევარია. ყოველ შემთხვევაში, მისი საპროგრამო სიტყვიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ პრეზიდენტი უფრო თანამედროვე პოზიციებზე დგას და აპირებს ფიფა-ს კონსერვატიული, დრომოჭმული პოლიტიკის შეცვლას.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ფიფა-ს ახალი პრეზიდენტი ჟ. ავილანჟი.

## მოლაპარაკება ჩაიშალა

ჯგუფური ტურნირების შემდეგ დასავლეთ გერმანიაში ჩამოსულმა მდიდარი მეცენატების აგენტებმა სეპარატიული მოლაპარაკებები წამოიწყეს მათთვის ხელსაყრელ ფეხბურთელებთან. ყველაზე მეტი მუშტარი გამოუჩნდა ორ „ვარსკვლავს“ — ბრაზილიელ პაულო ცეზარს და იუგოსლაველ ჯაიჩს.

მაგრამ, როგორც დასავლეთის პრესა იუწყება, მოლაპარაკება რომელიმე ფეხბურთელის ყიდვა-გაყიდვაზე ჯერ არ მომხდარა. კერძოდ, ჩაიფუშა კარგად დაწყებული საქმე „პარი სენტ ჟერმენის“ (საფრანგეთი) აგენტსა და ცეზარს შორის. მიზეზი? ბრაზილიელმა ფეხბურთელმა თავის თავს წარმოუდგენელი ფასი დაადო.

ასევე უნაყოფო გამოდგა მადრიდის „ატლეტიკოს“ და ჯაიჩის მოლაპარაკება. „ატლეტიკოს“ აგენტმა განაცხადა, რომ იუგოსლაველი ფეხბურთელის მოთხოვნათა დაკმაყოფილება კლუბის გაკოტრებას უდრისო.

## 1 მილიმეტრი და პროტესტი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდებაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციას ეხება, აღნიშნულია, რომ მატჩები უნდა ჩატარდეს ისეთ მოედანზე, სადაც ბალახის სიმაღლე 35-38 მილიმეტრს არ აღემატება.

თუ ბალახის სიმაღლე ამ სტანდარტულ ზომას ასცილდება თუნდაც 1 მილიმეტრით, წაგებულ გუნდს უფლება აქვს განაცხადოს პროტესტი და მოითხოვოს გადათამაშება.

საბედნიეროდ, გუნდებს, რომლებმაც უკვე დაკარგეს ჩემპიონატის მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება, ჯერჯერობით აზრადაც არ მოსვლიათ ესარგებლათ წესდების ამ პუნქტით.

## WM-74



იგი ნამდვილი ორგანიზატორია, გუნდის ტვინი. ასეთი ფეხბურთელი გაცილებით უფრო დიდ როლს თამაშობს კოლექტივის წარმატებაში, ვიდრე რომელიმე ვარსკვლავი. პოლონეთის ნაკრებს ჰყავს რამდენიმე ექსტრაკლასის ფეხბურთელი (გაიხსენეთ თუნდაც შარმაჩი ან ლატო), მაგრამ, რაც მთავარია, ჰყავს ბრწყინვალე ორგანიზატორი და დირიჟორი კაზიმეჟ დეინა, ვარშავის „ლეგიის“ სული და გული, ეროვნული ნაკრების კაპიტანი, რომლის ზურგზეც გადადის პოლონური ფეხბურთის ავი და კარგი. დეინამ თავისი ბრწყინვალე თვისებები ერთხელ კიდევ გამოავლინა X ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში. იგი ჯერჯერობით ერთ-ერთ საუკეთესო დისპეტჩერადაა აღიარებული.

ს უ რ ა თ ზ ე: კაზიმეჟ დეინა.

## არგენტინელები ემზადებიან

მსოფლიოს X ჩემპიონატი ეს-ესაა დაიწყო, არგენტინაში კი გაჩაღებულია სამზადისი XI ჩემპიონატის შესახვედრად, რომელიც ზუსტად 4 წლის შემდეგ, 1978 წელს ჩატარდება. უკვე შეიქმნა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც თავის ქვეკომისიებს გაუნაწილა ფუნქციები.

ორიოდე თვის წინათ ქვეკომისიამ, რომლის მოვალეობაშიც შედის უცხოელთა გამოცდილების შესწავლა, დაიწყო მოგზაურობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. არგენტინელები თავდაპირველად ეწვივნენ ესპანეთს, იქიდან კი საფრანგეთში გადაინაცვლეს. იყვნენ ინგლისში, იტალიაში, ახლა კი გფრ-ის ქალაქებში მოგზაურობენ.

მომავალი ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ბევრი რამ მოიწონეს, თუმცა კრიტიკული შენიშვნებიც არ დააკლეს არც X ჩემპიონატის მასპინძლებს და არც ევროპის სხვა ქვეყნებს. ყველაზე მეტად არგენტინელები უკმაყოფილონი არიან იმ არაჯანსაღი დამოკიდებულებით, რაც, მათი აზრით, პრესასა და ფეხბურთელებს შორის არსებობს. „ჩვენთან, არგენტინაში, — განაცხადა ამ ქვეკომისიის მეთაურმა, — გაზეთები და ინფორმაციის ყველა საშუალება მოწოდებულია იმისთვის, რომ ფეხბურთელებს ცხოვრებისა და თამაშის ნორმალური პირობები შეუქმნას. ევროპაში კი პირიქით, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა კონფლიქტი ჟურნალისტებსა და ფეხბურთელებს შორის“.

ამას წინათ ბუენოს-აირესში გამოქვეყნდა იმ ქალაქების სია, სადაც ჩატარდება XI მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები. ეს ქალაქებია: ბუენოს-აირესი, როსარიო, კორდოვა, მენდოსა, მარ-დე-პლატა და ტუკუმანი. არგენტინელები თანახმა არიან, რომ ფინალის მონაწილე გუნდების რაოდენობა 16-დან 20-მდე გაიზარდოს.

### თავისებური რეკორდი

თუმცა არგენტინელმა ფეხბურთელებმა ვერაფრით გააკვირვეს გულშემატკივრები და მაყურებლები, მათმა ფორვარდმა აიალამ მაინც დაამყარა ჩემპიონატის თავისებური რეკორდი. მისი ფოტოსურათი დასავლეთგერმანულ პრესაში დაიბეჭდა წარწერით: „ჩემპიონატის ყველაზე გრძელი თმა — 43 სანტიმეტრი“.

### ტრადიციას არ უღალატეს

მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ საკმარისი დროა, თავიანთი გუნდის უფერული თამაშით განაწყენებულმა ფანატიკოსმა ბრაზილიელმა გულშემატკივრებმა რიო-დე-ჟანეიროს მახლობლად, ტრადიციისამებრ, დაწვეს მარიო ზაგალოს „ფიტული“.

# გზა დიდი სარბიელისკენ

თბილისის III ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა „კლასიკოსებმა“. 9 პირველი და 3 მესამე ადგილი — ასეთია სამდღიანი დაძაბული ბრძოლის არითმეტიკული გამოსახულება, რომელიც, ამავე დროს, ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ საბჭოთა მოჭიდავეებს ჯერჯერობით ტოლი არ ჰყავთ ევროპულ სარბიელზე. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტურნირის მასპინძლებმა, რომელთა წილადაც ექვსი პირველი და ორი მეორე ადგილი მოდის.

თბილისის საერთაშორისო ტურნირის ვადები ზუსტად დაემთხვა ევროპის ჩემპიონატისას. ამდენად ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს უძლიერესებმა. მაგრამ ტურნირმა თავისი დანიშნულება მაინც გაამართლა. XXI ოლიმპიადისთვის მზადების მოცემულ ციკლში მან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოსცადა, ბევრს გაუხსნა გზა დიდი სარბიელისკენ.

ამ სახის ტურნირში, როგორც წესი, პრიზიორთა გვარები ზუსტად არ შეესატყვისება მონაწილეთა სიძლიერეს. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ნამდვილად ძლიერ მოჭიდავეს ვერ ნახავთ პრიზიორთა სიაში იმიტომ, რომ მის თანამემამულეს უკეთესი ადგილი აქვს დაკავებული. დებულების თანახმად კი ერთ ქვეყანას ყოველ წონაში შეიძლება ჰყავდეს ერთი პრიზიორი. და თუ თბილისის III საერთაშორისო ტურნირში ეს კანონი დაირღვა, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ქვეყნის წარმომადგენლები ამ თუ იმ წონაში არ მონაწილეობდნენ. სწორედ ამიტომ ჰყავს ორი პრიზიორი ქვემძიმე წონაში საქართველოს.

ზოგ შემთხვევაში ფავორიტთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ შეჯიბრების დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე I ადგილი დაკავებული აღმოჩნდა. მაგალითად, ტურნირი ჯერ არც კი დასრულებულიყო და სარბიელზე ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა, რომ მაყურებლები უკვე ულოცავდნენ გამარჯვებას მეგრელიშვილსა (62 კგ) და მაჭავარიანს (82 კგ).

მეტად მძაფრი იყო ფინალური შერკინება 68 კგ წონით კატეგორიაში. საქმე ისაა, რომ II და III ადგილების მფლობელთა ვინაობა უკვე გარკვეული იყო და თანამემამულეებს ა. აფრიამაშვილსა და გ. ჯოხაძეს უნდა გაერკვიათ, ვინ იქნებოდა პირველი და ვინ დარჩებოდა პრიზიორთა რიგებს მიღმა. აფრიამაშვილმა ეს ბრძოლა მოიგო და საპატიო ჯილდო მოიპოვა, მაგრამ დამარცხებულიც უდავოდ ქებას იმსახურებს.

### პრიზიორები

48 კგ. 1. ვ. ფატუნოვი (სსრ კავშირი), 2. პ. ივანოვი (ბულგარეთი), 3. ი. კამინსკი (პოლონეთი).

52 კგ. 1. ვ. შატუნოვი (სსრ კავშირი), 2. ლ. შურუპოვი (ბულგარეთი), 3. ფ. რადუკი (რუმინეთი).

57 კგ. 1. რ. ეივაზოვი (სსრ კავშირი), 2. ჰ. ტურანიანი (ირანი), 3. ნ. პორიაზოვი (ბულგარეთი).

62 კგ. 1. ჯ. მეგრელიშვილი (საქართველო), 2. ჰ. კუხკიანი (ირანი), 3. თ. ბაბუხადია (საქართველო).

68 კგ. 1. ა. აფრიამაშვილი (საქართველო), 2. ლ. რომანსკი (პოლონეთი), 3. კ. ტრაიკოვი (ბულგარეთი).

74 კგ. 1. გ. ჭელიძე (საქართველო), 2. ს. ხრისტოვი (ბულგარეთი), 3. გ. ჩობოტარუ (რუმინეთი).

82 კგ. 1. თ. მაჭავარიანი (საქართველო), 2. ჰ. ნეზაფაუტდუსტი (ირანი), 3. მ. ლიპნევიჩი (პოლონეთი).

90 კგ. 1. გ. გოგლიჩიძე (საქართველო), 2. ი. ხრისტოვი (ბულგარეთი), 3. ა. ყურბანი (ირანი).

100 კგ. 1. მ. სალაძე (საქართველო), 2. მ. მოშთანგი (ირანი), 3. მ. მორჩილაძე (საქართველო).

მძიმე. 1. ნ. ნიკოლოვი (ბულგარეთი), 2. ვ. დოლიპსკი (რუმინეთი), 3. ჰ. როონე (სსრ კავშირი).

ც. ფცქიალაძე.

• •



ისინი არც თანაგუნდელები არიან, არც მეტოქეები. ირანელი მ. ტორუნიანი 57 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, თბილისელი გ. ჭელიძე კი 74 კგ-ში. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მათ უსიტყვო დახმარება იციან. აი ახლაც, ამ ფოტოზე, თქვენ ხედავთ ირანელ მოჭიდავეს, რომელიც ჭელიძეს უწევს სეკუნდანტობას. თბილისის საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთი მთავარი დევიზი იყო მეგობრობა და ამ ფოტოსურათიდანაც ნათლად ჩანს, თუ რამდენად ამართლებს ასპარეზობა თავის დანიშნულებას.

ი. იუნაევის ფოტო.

# ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

## სასკოლო სპორტი გდრ-ში

გდრ-ის სკოლებსა და საწარმოებში არსებულ სექციებში 1,4 მილიონზე მეტი ბავშვი და მოზარდი ეუფლება სპორტის საიდუმლოებას. მარტო საშუალო სასწავლებლებში გამოცდილი მწვრთნელებისა და ფიზკულტურის მასწავლებლების მეთვალყურეობით რეგულარულად ვარჯიშობს მოსწავლეთა 35 პროცენტი. მათს განკარგულებაშია 50 ათასი სექცია და წრე. განსაკუთრებით პოპულარულია მძლეოსნობა — რბენაში, ხტომაში, ტყორცნაში 170 ათასი ბიჭი და გოგონა ოსტატდება. „სპორტის დედოფლის" შემდეგ მოდის ტანვარჯიში (82 ათასი მომეცადინე) და ხელბურთი (70 ათასი).

ყოველი ნორჩი სპორტსმენის ოცნებაა დიდ სარბიელზე გამოსვლა, გდრ-ში კი შეჯიბრებები მთელი წლის მანძილზე ტარდება. სასკოლო, ხერე კი რაიონულ ტურნირებში გამარჯვებულნი შემდეგ გდრ-ის ბავშვთა და მოზარდთა სპარტაკიადებში მონაწილეობენ. სპარტაკიადაში გამარჯვებულებს გდრ-ის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის საპატიო სიგელებით აჯილდოებენ.

გდრ-ის ნორჩ მოქალაქეებს სპორტულ-მასობრივი ღონისძიებებიც უყვართ. ასეთი ღონისძიებებია, მაგალითად, მძლეოსნური „ნორჩთა კროსი", ოთხჭიდი „მეგობრობა", რომელშიც სოციალისტური ქვეყნების მოსწავლეები მონაწილეობენ. წლეულს გდრ-ში ამ შეჯიბრების ფინალი მოეწყობა.

(საკდესის კორ.).

ბერლინი.

## კშესინსკაია ცვლის კშესინსკაიას

პოლონეთის მძლეოსანთა შეჯიბრების ოქმებში კვლავ გამოჩნდა ელჟბეტ კშესინსკაიას სახელი. არა, ეს მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი და ცნობილი სიგრძეზე მხტომელი [illegible] ელჟბეტ-უფროსი შეცვალა მისმა ქალიშვილმა, 15 წლის სიმაღლეზე მხტომელმა. წლევანდელი სეზონის დასაწყისში ელჟბეტ-უმცროსმა ვარშავაში 171 სმ-ზე გადებული თამასა გადალახა და პირადი რეკორდი ერთბაშად 3 სმ-ით გააუმჯობესა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წლეულს ნორჩი სპორტსმენი 180 სანტიმეტრს გადალახავს, ხერე კი... შეიძლება 1980 წლის ოლიმპიადის მაყურებლებმა წარმატება მქუხარე ტაშით მიულოცონ 1956 წლის ოლიმპიადის ჩემპიონის ქალიშვილს.

(საკდესის კორ.).

ვარშავა.

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

# ვიზრუნოთ რეზერვის მომზადებისთვის




ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში ფოთში გამართულმა ტურნირმა თავი მოუყარა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, მცხეთისა და დუშეთის გუნდებს. სარბიელზე გამოვიდნენ უმცროსი და უფროსი ასაკის სპორტსმენები.

შეჯიბრების ჩამტარებელთა ყურადღება ძირითადად უმცროსი ასაკის ნიჩბოსნებისკენ იყო მიპყრობილი, ვინაიდან, როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოსწავლე ნიჩბოსანთა უფროსმა მწვრთნელმა გ. რაზმაძემ გვითხრა, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში რესპუბლიკის გუნდის შედეგებს მათი ქულებიც შეემატება.

— როგორც ფოთში გამართულმა ასპარეზობამ დაგვანახა, 15-16 წლის სპორტსმენების მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს. ზოგმა უფროსთა პირველი თანრიგის ნორმატივიც კი შეასრულა, — თქვა გ. რაზმაძემ. — მაგრამ შედეგები შესაძლოა უკეთესი ყოფილიყო, იმ ქალაქებში, სადაც სპორტის ამ სახეობის ჯგუფები მუშაობენ, ბავშვები ინვენტარით უზრუნველყოფილი რომ ყოფილიყვნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში აჭარის ნიჩბოსნებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს — 106 ქულა სხვა კოლექტივები ფაქტიურად დანარჩენი ადგილებისთვის იბრძოდნენ. ამ დავაში ყველას აფხაზეთის სპორტსმენებმა აჯობეს — 79 ქულით II ადგილი დაისაკუთრეს. ქუთაისის გუნდი მათ 4 ქულით ჩამორჩა, სამაგიეროდ, 2 ქულით აჯობა მცხეთის ნაკრებს, რომელიც IV ადგილზე გავიდა. დედაქალაქის ნიჩბოსნები V ადგილს დასჯერდნენ (72 ქულა). შემდეგ ადგილებზე არიან რუსთავის (65), ფოთისა (55) და დუშეთის (8) მოსწავლეები.

თუ აფხაზეთის, ქუთაისისა და განსაკუთრებით აჭარის კოლექტივები ქების ღირსნი არიან, გვაოცებს მცხეთის, თბილისის, რუსთავისა და ფოთის ნიჩბოსნების დაბალი შედეგები. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ მცხეთას და ფოთს ნიჩბოსნობის მდიდარი ტრადიციები აქვთ, რუსთაველებს კი ამ ორიოდე წლის წინათ რესპუბლიკაში უძლიერესი მოსწავლეთა ნაკრები ჰყავდათ. რაც შეეხება თბილისელებს, მათი წარუმატებელი გამოსვლა ყოვლად გაუმართლებელია.

მართალია, ნიჩბოსნობა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილი არ არის, მაგრამ ამ სახეობაში რეზერვის მომზადებისთვის ზრუნვა მაინც ყველას ვალია.

### ტექნიკური შედეგები:

**უმცროსი ასაკი.** გოგონები. **500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი.** ი. სერედა (რუსთავი) — 2.32,5, ო. კარბოიანი (აჭარა) — 2.37,0, მ. ალექსუნინა (აფხაზეთი) — 2.39,0. **ორადგილიანი.** ნ. ლეზიმა — სერედა (რუსთავი) — 2.14,0, კარბოიანი — ს. იზმაილოვა (აჭარა) — 2.17,9, მ. დადეშელი — რ. პილიევა (მცხეთა) — 2.22,8. **ჭაბუკები. 500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი.** ა. გოლოვანოვი (ფოთი) — 2.06,8, ა. ბუხარევიჩი (აჭარა) — 2.07,7, გ. გეორქიანი (მცხეთა) — 2.10,0. **ორადგილიანი.** გოლოვანოვი — ს. სანაკოევი (ფოთი) — 2.02,7, ბუხარევიჩი — ნ. კოროლიოვი (აჭარა) — 2.03,3, ა. ცაიკუ — ვ. ადნაბორცევი (რუსთავი) — 2.05,2. **კანოე. ერთადგილიანი.** გ. ტრიბუნსკი (რუსთავი) — 2.23,2, ა. ცეიბა (სოხუმი) — 2.29,9, ი. გურიანოვი (ფოთი) — 2.30,0. **ორადგილიანი.** ვ. ლაპშინი — მ. ბრაიმანი (თბილისი) — 2.17,5, ტრიბუნსკი — ი. ლუდუშაური (რუსთავი) — 2.21,0, ვ. კოვიგონი — პ. ჩილინგარიდი (აჭარა) — 2.23,3.

**უფროსი ასაკი.** გოგონები. **500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი.** თ. თედლიაშვილი (მცხეთა) — 2.24,0, ლ. ვდოვენკო (აფხაზეთი) — 2.27,3, ქ. მკრტჩიანი (აჭარა) — 2.32,7. **ორადგილიანი,** თედლიაშვილი — ნ. ყვინჩირიშვილი (მცხეთა) — 2.21,0, ე. მორჩილაძე — მკრტჩიანი (აჭარა) — 2.29,2, ზ. ტიგიევა — ო. მაისურაძე (თბილისი) — 2.30,0. **ჭაბუკები. 500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი.** ვ. ლოკტევი (აფხაზეთი) — 2.09,0, გ. ამაშუკელი (ქუთაისი) — 2.11,0, ნ. ხმელიოვსკი (თბილისი) — 2.12,5. **ორადგილიანი.** ი. ვერენიდი — ვ. დვოენოსოვი (აჭარა) — 1.56,3, გ. ამაშუკელი — ზ. ნიჟარაძე (ქუთაისი) — 1.52,2, გ. ემუხვარი — ნ. ერმილოვი (აფხაზეთი) — 2.02,4. **1000 მ. ერთადგილიანი.** ხმელიოვსკი — 4.32,9, მ. გოგელაშვილი (ქუთაისი) — 4.32,9, ლოკტევი — 4.33,6. **ორადგილიანი.** ვერენიდი — დვოენოსოვი — 3.53,8, გ. მუჯირიშვილი — გოგელაშვილი (ქუთაისი) — 4.00,7, ვ. ტიმოფეევი — პ. ადამია (ფოთი) — 4.04,3. **კანოე. 500 მ. ერთადგილიანი.** ვ. მარგველაშვილი (ქუთაისი) — 2.25,4, ლ. შორნიკოვი (აჭარა) — 2.26,0, ვ. ხეთაროვი (აფხაზეთი) — 2.28,3. **ორადგილიანი.** კ. სტავრიანიდი — რ. ეზიაშვილი (აჭარა) — 2.04,2, რ. მიქაძე — ადამია (ფოთი) — 2.06,3, ზ. ხიზანიშვილი — ი. მონაგარიშვილი (მცხეთა) — 2.10,0. **1000 მ ერთადგილიანი.** მიქაძე — 4.51,0, შორნიკოვი — 4.51,1, მ. აბაზაძე (ქუთაისი) — 4.51,2. **ორადგილიანი.** სტავრიანიდი — ეზიაშვილი — 4.26,6, თ. ჩიხლაძე — აბაზაძე (ქუთაისი) — 4.30,2, ხიზანიშვილი — მონაგარიშვილი — 4.36,3.

ვ. ხანუმიანი.

# თუ გული გულობს

ამას წინათ ლენტეხში ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მაისტერესებდა იმ რაიონის ნახვა, სადაც დაიბადნენ და აღიზარდნენ ცნობილი მოჭიდავეები ნიჟარაძე, ხაბულიანი, გუგავა და სხვები. ამიტომ სიამოვნებით დავთანხმდი ასპარეზობის მთავარ მსაჯობაზე.

ლენტეხი მომზადებული შეხვდა ტურნირის მონაწილეებს. ეს მთლიანად რაიონის ხელმძღვანელთა დამსახურებაა, რომლებმაც კარგი ორგანიზაციისა და სტუმარ-მასპინძლობის მაგალითი გვიჩვენეს. ასეთმა მიღებამ, ცხადია, გამორიცხა ყოველგვარი უწესრიგობა და ტურნირიც მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა.

ჩვენს პრესაში ხშირად იბეჭდება წერილები ქართული ჭიდაობის განვითარების პრობლემებზე. ჩემი აზრით, სპორტის ამა თუ იმ სახეობის საუკეთესო პროპაგანდა, პირველ ყოვლისა, შეჯიბრებათა ჩატარების ხარისხია. ლენტეხელებმა ამ მხრივ აშკარად აჯობეს ყველას. ბევრ შეჯიბრებას დავსწრებივარ, ბევრ ტურნირში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ არსად არ მიგრძვნია ისეთი მხარდაჭერა და ყურადღება, როგორიც ლენტეხში.

ქართული ჭიდაობა პოპულარულია ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ერთნაირად როდი იბრძვიან მისი მასობრიობისთვის. დახმარებაც, სამწუხაროდ, მუდამ ჯეროვანი როდია. არადა, ბევრი რამ რაიონების ხელმძღვანელობაზეცაა დამოკიდებული. ლენტეხელთა მაგალითი უდავოდ მისაბაძია, და, თუ ქართული ჭიდაობისადმი ყველგან ასეთ დაინტერესებას გამოიჩენენ, საქმეს უფრო ეშველება.

ტურნირის პროცესში ბევრი ნიჭიერი მოჭიდავე გამოვლინდა, მაგრამ ზოგ ღირსეულს აშკარად უმტყუნა ბედმა. მხედველობაში მყავს მესტიელი მოსწავლე ზ. გერლიანი, რომელმაც ოთხი გამარჯვების შემდეგ ფრედ დაამთავრა ბრძოლა თბილისელ ვ. არჩემაშვილთან და საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გერლიანი ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:

უმჩატესი წონა. 1. ა. ზურაბიანი (ლენტეხი), 2. ვ. არჩემაშვილი, 3. ა. გულიაშვილი (ორივე — თბილისი).

მჩატე. 1. დ. ჯუგაშვილი, 2. ბ. ჟიჟიაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ა. კევლიშვილი (თელავი).

ქვემსუბუქი. 1. ნ. ყირიმელი (თბილისი), 2. თ. გუგავა, 3. დ. ონიანი (ორივე — ლენტეხი).

მსუბუქი. 1. ა. გელოვანი (ლენტეხი), 2. ნ. ახლოური (თბილისი), 3. ო. ზურაბიანი (ლენტეხი).

ქვესაშუალო. 1. ჩ. ჟამერაშვილი (თბილისი), 2. თ. ხუგაევი (თელავი), 3. გ. ალბორიშვილი (თბილისი).

საშუალო. 1. ვ. პავლიაშვილი (მცხეთა), 2. ხ. კვიციანი (მესტია), 3. ლ. ფრუიძე (ახმეტა).

ქვემძიმე. 1. ე. დავითაშვილი (თელავი), 2. ნ. დევდარიანი (ლენტეხი), 3. რ. ხუროშვილი (მცხეთა).

მძიმე. 1. თ. ძეგლიგაშვილი, 2. ა. შაშვიაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ნ. ბედოშვილი (გორი).

გუნდური ადგილები. 1. თბილისი, 2. ლენტეხი, 3. ახმეტა, 4. თელავი, 5. მესტია (აღსანიშნავია გორის, ხაშურისა და საგარეჯოს მოჭიდავეთა სუსტი გამოსვლა. მათ შესაბამისად VII, IX და XI ადგილები დაიკავეს).

ბ. მაზიაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

# ნორჩ ჩოგბურთელთა ზეიმი

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში როგორც გოგონებში, ისე ჭაბუკებში გუნდური I ადგილი დაისაკუთრეს თბილისელებმა.

დედაქალაქის ჩოგბურთელებს ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს მცხეთის გუნდის სახელით მოასპარეზე გლდანის № 2 რესპუბლიკური სპორტული სკოლა-ინტერნატის გოგონებმა და ჭაბუკებმა, რომლებმაც II საპრიზო ადგილები დაიკავეს. III ადგილები გოგონათა შორის წილად ხვდათ აჭარის წარმომადგენლებს, ხოლო ჭაბუკთა შეჯიბრებაში — აფხაზეთის სპორტსმენებს.

პირად შეჯიბრებაში უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის ბურთის ძლიერი მიწოდებით, ბადესთან შედეგიანი გასვლით და გონებამახვილური თამაშით თავი გამოიჩინა თბილისელმა გ. ელერდაშვილმა. იგი პირველ ადგილზე გავიდა უფროსი ასაკის ჭაბუკთა პირად და წყვილთა ასპარეზობაში (თ. მინეევთან ერთად).

თ. მინეევი (თბილისი) აბსოლუტური ჩემპიონი გახდა, მან I ადგილი დაიკავა საშუალო ასაკის ჯგუფში ჭაბუკთა პირად, შერეულ (ლ. აბუაშვილთან ერთად) და ვაჟთა წყვილების (გ. ელერდაშვილთან) ასპარეზობაშიც. უმცროსი ასაკის ჭაბუკებში გაიმარჯვა გ. ზამბახიძემ (თბილისი). თავი ისახელეს, აგრეთვე, ა. ჯაფარიძემ, ა. პრაშკერმა, ა. პილიპჩუკმა (სამივე — თბილისი), გ. ქარცივაძემ (ბათუმი) და ჯ. იბრაგიმოვმა (№ 2 სკოლა-ინტერნატი).

გლდანის № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელი ლ. აბუაშვილი შეჯიბრების აბსოლუტური ჩემპიონი გახდა გოგონათა შორის.

ასპარეზობამ ცხადყო, რომ თბილისში ნორჩი ჩოგბურთელების მომზადებაში ერთგვარი პროგრესი შეიმჩნევა. ქებას იმსახურებს გლდანის № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატის მწვრთნელთა ახალგაზრდული კოლექტივი (გ. ახალაძე, გუგული და გაიოზ საბაშვილები, ზ. ღოღობერიძე და გ. ეგნატაშვილი), რომელმაც დაბალი ხარისხის რამდენიმე ასფალტისა და ბალახის „სინთეზურ" კორტზე (მიწის კორტები საერთოდ არა აქვთ) კარგი ჩოგბურთელების მომზადება შესძლო.

ი. იუნაევი.





სურათებზე: ლ. აბუაშვილი და გ. ელერდაშვილი ასპარეზობისას.

ავტორის ფოტოები.

## რაიონების ცხოვრებიდან

### ცხინვალი

ჩატარდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა რაიონული პირველობა. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს ერედველმა ათლეტებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილებზე გავიდნენ: ვ. მიდოდაშვილი, თ. ტუაევი, ნ. ჯ. და თ. ბერუაშვილები (ყველა — ერედვი), გ. და ვ. კაზიევები (ორივე — არცევი), ლ. ბიჩენოვი (გრომი).

ვ. მელქოევი.

### წითელი წყარო

სოფელ ჯაფარიძის კულტურის სახლში მოეწყო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რაიონული სპარტაკიადის პროგრამით. დაწესებული იყო კომკავშირის რაიკომის გარდამავალი თასი, რომელიც გადაეცა ასპარეზობაში გამარჯვებულ ზემო მაჩხაანის გუნდს. სხვადასხვა პრიზი დაისაკუთრეს მ. მაძღარაშვილმა, ვ. მოსულიშვილმა, გ. არაქელოვმა და დ. ლობჟანიძემ.

უ. წყარუაშვილი.

### ზუგდიდი

ჩატარდა „კოლმეურნის" ზუგდიდის რაისაბჭოს პირველობა მძლეოსნობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს" წარმომადგენლები — 3648 ქულა. II ადგილზე გავიდნენ ცაიშელი სპორტსმენები — 3310, III — შამგონელი კოლმეურნეები — 2432.

ა. ფიფია.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02635